პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 მარტი, კვირა, 1988 წ.
№ 47 (9714) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ივონი — ლერი ნაკანის სასარგებლოდ

**24 ქვეყნის** ძიუდოისტები შეიკრიბნენ მაინის ფრანკფურტის ახლოს მდებარე ქალაქ რუსელჰაიმში (გფრ), სადაც დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ჩვენი ქვეყნიდან შეჯიბრებაში ცალკე გუნდად მონაწილეობდა საქართველოს ნაკრები მწვრთნელების შოთა ხაბარელისა და გურამ პაპიტაშვილის ხელმძღვანელობით. ბორის გოგიჩაშვილი ტურნირზე მსაჯის მოვალეობას ასრულებდა.

ბრწყინვალედ ჩაატარა შეჯიბრება ლერი ნაკანმა. მის წონით კატეგორიაში (78 კგ) ცნობილმა, ტიტულიანმა მოჭიდავეებმა მოიყარეს თავი, მათ შორის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ვინეკემ (გფრ) და ლიმ (სამხრეთ კორეა), მაგრამ ნაკანმა ყველა შეხვედრა წმინდად



მოიგო, ასეთ მარცხს მხოლოდ ერთი — ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი ტორსტენ ბრეშოტი

(გდრ) გადაურჩა, თუმცა ისიც ოთხი იუკოს სხვაობით დამარცხდა ჩვენს ფალავანთან. ფინალი ძალზე ხანმოკლე გამოდგა — ლერიმ სულ რაღაც ...-ში ... ძირს დასცა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, ამერიკელი ... მორისი — ... ნაკანს („დინამო", მწვრთნელი დილარ ხაბულიანი) გამარჯვება დამაჯერებელი რევანშია ქვეყნის ჩემპიონატში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, სადაც მან V-VI ადგილები გაიყო.

რუსელჰაიმში მესამე ადგილი დაიკავა გორელმა გია თენაძემ (72), ფინალში გასასვლელად იგი ტატამის მასპინძელს შეხვდა და მსაჯებმა დამარცხებულად ჩვენი ფალავანი სცნეს. ბოლო ორთაბრძოლა გიამ წარმატებით ჩაატარა და, როგორც უკვე ვთქვით, ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

კვლავ დაადასტურა ალბათ ყველაზე „უიღბლო ძიუდოისტის" რეპუტაცია თამაზ ნამგალაურმა. პირველსავე ბრძოლაში, რომელსაც იგებდა კიდეც, მან თითი იღრძო და ვეღარ შეძლო შეხვედრის გაგრძელება. და კიდევ, კობა კურტანიძეს მენისკის ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, არადა, ოლიმპიური წელიწადი სწორედ ახლა შედის ძალაში.

## პროფკავშირული სპორტი ახალ მიჯნებზე

**საქართველოს** პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მოღვაწეობის პირველი შედეგები შეაჯამა ამ საზოგადოების ყრილობამ, რომელიც 5 მარტს გაიმართა თბილისში. დელეგატებმა განიხილეს მოსახლეობის გაჯანსაღებაში ფიზკულტურის როლის ამაღლების საკითხები სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობისა და საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. პ. კალაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. დ. შუბლაძე, ოთხგზის სსრ კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში ნ. მ. იოსელიანი, გაზეთ „ლელოს" რედაქტორი თ. თ. გაჩეჩილაძე, საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ვ. გორგოძე და სხვები.

ზუსტად ათი თვის წინ სპორტული საზოგადოებები „სპარტაკი", „ზენიტი", „ლოკომოტივი", „კოლმეურნე", „განთიადი", „ბურევესტნიკი", „ვოდნიკი" პროფკავშირთა ეგიდით ერთ საზოგადოებად გაერთიანდნენ. განვლილ პერიოდში ძირითადი ყურადღება დაეთმო ორგანიზაციულ საკითხებს. დღესდღეობით რესპუბლიკაში არის სამი საოლქო, 10 საქალაქო და 51 რაიონული საზოგადოების საბჭო, რომლებიც ხუთი ათასზე მეტ ფიზკულტურულ კოლექტივსა და სპორტულ კლუბში 1,5 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებენ. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის მოთხოვნების შესაბამისად გადაწყვეტილია ახალი მექანიზმის შექმნის საკადრო, საფინანსო, სამეურნეო საკითხები, რომლებზეც დიდად არის დამოკიდებული პროფკავშირულ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის, გამაჯანსაღებელი მუშაობის დონის ამაღლება.

მასობრივი ფიზკულტურის აქტივიზაციის პირველ ნაბიჯებს შორის დაასახელეს უკვე ტრადიციად დამკვიდრებული ასპარეზობანი და მუშათა სპარტაკიადები შრომითს კოლექტივებში, მუშაობის გამოცოცხლება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ჯანმრთელობის ჯგუფების რიცხვის ზრდა. უფრო ორგანიზებულად ეწყობა მშდ ნორმატივების ჩაბარება, გაფართოვდა შეჯიბრებებში სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა, დიდი ყურადღება ეთმობა მოძრაობას დევიზით — „ყოველ ფიზკულტურულ კოლექტივს — სპორტული მოედანი". უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე მარტო რესპუბლიკური მასშტაბის სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 80 ათასი კაცი.

ამავე დროს, ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე, გარეგნულად რიგიანი ციფრების მიღმა ჯერ კიდევ არცთუ ისე ცოტა პრობლემა იმალება. მშდ ნორმატივების ჩაბარების, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სხვა შესაძლებლობათა განვითარების ელემენტარული პირობები არ არის შექმნილი მცხეთის, ყაზბეგის, დუშეთის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, წალკის, სიღნაღის, საგარეჯოს, ვანის, ჩოხატაურის, ხულოს, ქედის, ჯავის, ლენინგორისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. რესპუბლიკების სოფლების სამოცდაათ პროცენტს საერთოდ არ გააჩნია უმარტივესი ტიპის სპორტული მოედნები. საწარმოო ტანვარჯიში პრაქტიკულად უგულებელყოფილია საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა, მეტალურგიული მრეწველობის, მედიცინის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური კომიტეტების სისტემებში.

გამოსვლებში აღძრეს ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სამინისტროების, უწყებების, შრომითი კოლექტივების, პროფკავშირული კომიტეტების აქტივიზაციის, ფასიანი სააბონემენტო ჯანმრთელობის ჯგუფებისა და სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების, სტუდენტებთან და მოსწავლეებთან სპორტული მუშაობის გაუმჯობესების პრობლემები, სხვა აქტუალური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფიზკულტურულ მუშაკთა კადრებს, მათს პროფესიულ და ინტელექტუალურ დონეს, კომპეტენტურობას, პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს, შემოქმედებითს უნარსა და მოქალაქეობრივ აქტიურობას.

განხილული საკითხის გამო ყრილობამ მიიღო რეზოლუცია.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე.

• • •

გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს, მისი სარევიზიო კომისიის, საზოგადოების პირველ საკავშირო ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატების არჩევნები.

საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო პლენუმზე მის თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. დ. შუბლაძე. (საქინფორმი).

### კვირიდან კვირამდე

**„იზვესტია"** — **3 მარტი.** „ტანვარჯიშ უშუ-ს საიდუმლოებანი". ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიწვია ვარჯიშის ამ ახალმა ფორმამ.

**„კომსომოლსკაია პრავდა"** — **1 მარტი.** „არის სტარტი". შეიქმნა ინვალიდთა სპორტის რსფსრ-ის ფედერაცია.

**„სოვეტსკი სპორტი"** — **2 მარტი.** რა სიკეთე მოაქვს საბჭოთა და კანადის პროფესიული კლუბების ჰოკეისტთა შეხვედრებს? ამ თემაზეა საუბარი წერილში „დიდი თამაში".

**3 მარტი.** „ფეხბურთი იტალიურად", ანუ იმის შესახებ თუ რ მდგომარეობაა იტალიის საფეხბურთო ეროვნულ ჩემპიონატზე.

**3 მარტი.** „ბრძოლა საკუთარ თავთან". გაზეთი კვლავ უბრუნდება წარსულში სპორტის ვარსკვლავების დღევანდელ ბედზე საუბარს.

## ხვალ კვლავ ახმიანდება სტადიონები, იწყება ახალი საფეხბურთო სეზონი

### კეთილ გზას ვუსურვებთ

**1988 წლის** საფეხბურთო სეზონი, არსებითად, კარგა ხანია დაიწყო. უკვე გამართეს ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრები სსრ კავშირის პირველმა და ოლიმპიურმა ნაკრებმა გუნდებმა, ევროპის საკლუბო ტურნირში ჩაება მინსკის „დინამო", გაიმართა მრავალი საკონტროლო შეხვედრა, უცხოეთის ქვეყნებში იმოგზაურეს ჩვენმა გუნდებმა, მათ შორის თბილისის „დინამომაც". ერთი სიტყვით, სეზონი დაიწყო, მაგრამ უმთავრესი მაინც წინაა: ხვალ სტარტს აიღებს სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგის 16 გუნდი მზადაა საბრძოლველად. ხვალ თბილისის, ერევნის, დონეცკის, ბაქოს, დნეპროპეტროვსკისა და ოდესის სტადიონებზე აღიმართება ჩემპიონატის ალამი, 9 და 10 მარტს პირველი ტურის კალენდარული მატჩები შედგება მოსკოვში. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ საკავშირო ჩემპიონატების ასე ადრე დაწყებას, საბჭოთა ფეხბურთის წინაშე მრავალი რთული და საინტერესო ამოცანაა დასახული, ჩვენს გუნდებს სრულ სპორტულ ფორმაში ყოფნა მართებთ მთელი წლის მანძილზე, ამიტომაც მარტი სრულუფლებიან საფეხბურთო თვედ იქცა.

ბოლო რამდენიმე წელია ქართული ფეხბურთი ჩვენს უმაღლეს ლიგაში ორ-ორი გუნდით იყო წარმოდგენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, თავი ვერ მოვაბით უმაღლესი ლიგის დიდ სიძნელეებს და ჯერ ქუთაისელებს, შემდეგ ლანჩხუთელებს უმაღლესი ლიგის დატოვება მოუხდათ. ახლა ქართული ფეხბურთის წინაშე კვლავ სრული კატეგორიულობით დგას პრობლემა, რათა ორივე ამ გუნდმა აღიდგინოს დაკარგული პოზიციები. ლანჩხუთელებმაც და ქუთაისელებმაც თავგამოდებით უნდა იბრძოლონ იმ მიზნების მისაღწევად, რასაც რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა უსახავს მათ.

გამორჩეული საუბრის ღირსია თბილისის „დინამო". არავისთვის საიდუმლო და დასამალი არაა, რომ ჩვენი სანაქებო გუნდი ბოლო წლებში მძიმე კრიზისს განიცდის. ოდესღაც ევროპის საკლუბო თასის მფლობელი, სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი, გუნდი, რომლის რიგებშიც აღზრდი-

იხ. მე-3 გვ.



სსრ კავშირის 1988 წლის 51-ე ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მასალები იხილეთ მე-2-3 გვერდზე.





თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა გულშემატკივართა შეხვედრა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივთან.

დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა გერმან ზონინმა პასუხი გასცა გულშემატკივართა შეკითხვებზე, ილაპარაკა დინამოელთა მზადებაზე და მომავალი სეზონის პერსპექტივებზე.

შეხვედრის დასასრულს აჩვენეს სპორტული კინოფილმები, გაიმართა დიდი კონცერტი.

# ხვალ კვლავ ახმიანდება სტადიონ...

## ახალი, საინტერესო სეზონი

**დადგა ის დღე, რომელსაც ასე ელოდნენ ფეხბურთის მოყვარულები: იწყება სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი ფეხბურთში.**

ფრიად ღირსშესანიშნავი სპორტული მოვლენაა. ახალ საფეხბურთო სეზონს მუდამ იმედის თვალით შეჰყურებენ გულშემატკივრები, უმაღლესი ლიგის ყოველ კლუბს ყავს თავისი ქომაგები, ყველა თავისი გუნდის წარმატებებს მოელის, განსაკუთრებული ინტერესით ველოდებით პირველ მატჩებს, პირველ შედეგებს. ახალი სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის წარმომადგენლებმა შეკითხვებით მიმართეს სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსს **ვიაჩესლავ კოლოსკოვს**. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არაა გაეცნოს სამმართველოს უფროსის ზოგიერთ მოსაზრებას.

ვ. კოლოსკოვმა ხაზგასმით აღნიშნა შარშანდელი სეზონის უმნიშვნელოვანესი მოვლენები: სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა წარმატებას მიაღწია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში და ფინალში გავიდა, საუკეთესო პერსპექტივები აქვს ოლიმპიურ გუნდს, 16 წლის ჭაბუკმა ფეხბურთელებმა პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო ჩემპიონატში, ჩვენი მაყურებელი, ამის გამო, გაზრდილ ინტერესს იჩენს ფეხბურთისადმი, საგრძნობლად მოიმატა საკავშირო ჩემპიონატის მატჩებზე დამსწრეთა რაოდენობამ. 11 მილიონი მაყურებელი, რომელიც შარშან დაესწრო უმაღლესი და 1 ლიგის მატჩებს — სარეკორდო ციფრია.

მაგრამ შარშანდელ სეზონს ნეგატიური მხარეებიც საკმარისად ჰქონდა, კერძოდ, სუსტად გამოვიდნენ ჩვენი გუნდები ევროპის საკლუბო ტურნირებში, საგრძნობლად დაქვეითდა კიევის, მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა თამაშის კლასი, არადამაკმაყოფილებლად ითამაშეს ლენინგრადის „ზენიტმა", ერევნის „არარატმა", ბაქოს „ნეფთჩიმ", ხარკოვის „მეტალისტმა", ალმა-ათის „ქაირათმა" და როცა 16 გუნდიდან 8 არადამაკმაყოფილებლად თამაშობს, თავისთავად ცხადია, ეს უარყოფითად ემჩნევა მთელს ჩვენს ფეხბურთს.

საგანგებოდ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ჩვენი მსაჯების კვალიფიკაცია, ხშირია არბიტრთა შეცდომები და ამის გამოა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ გათამაშებაში ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა გადამწყვეტ ტურნირზე არც ერთი ჩვენი მსაჯი არ მიიწვია. ახლა მსაჯთა საკავშირო კოლეგიის შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადახალისდა, არბიტრთა ახალი კადრების აღზრდის საკითხი ჯერ კიდევ ფრიად მწვავედ დგას ჩვენს ფეხბურთში.

მინდა აღვნიშნო, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია კატეგორიული წინააღმდეგია სამსაჯო პრაქტიკაში ვიდეოტექნიკის გამოყენებისა, იგი მთლიანად ენდობა არბიტრთა კვალიფიკაციას, მათს ობიექტურობას, ჩვენც, როგორც ამ ორგანიზაციის წევრები, ვალდებულნი ვართ იმავე პოზიციაზე ვიდგეთ.

ჯერჯერობით ძალაში რჩება ფრეთა ლიმიტის პუნქტი. თვით გუნდების მწვრთნელთა შორისაც არ არის აზრთა ერთიანობა, ზოგნი ფრეთა ლიმიტის გაუქმების მომხრენი არიან, ზოგნი თავს იკავებენ ამისგან. ეტყობა, ამ საკითხზე სამერმისოდ ცალკე მოგვიწევს სერიოზული მსჯელობა.

არა მარტო მწვრთნელები, არამედ გულშემატკივრებიც ყოველი ჩემპიონატის დაწყების წინ უკმაყოფილებას გამოთქვამენ კალენდრის თაობაზე. კერძოდ, ბევრი მიუთითებს იმაზე, რომ ზაფხულში, შუა სეზონში ხშირია გაუმართლებელი შესვენებები. წლეულს ჯერჯერობით დავამტკიცეთ მხოლოდ პირველი წრის კალენდარი, მეორე წრის მატჩების განრიგს კი მოგვიანებით დავაზუსტებთ, რათა გავითვალისწინოთ ადრინდელი შეცდომები და კალენდარიც გონივრულად შევადგინოთ. გარდა ამისა, ხელახლა უნდა შევიმუშავოთ გუნდიდან გუნდში ოსტატ ფეხბურთელთა გადასვლის საკითხი, მოსაწესრიგებელია საექსპორტო კომისიის საქმიანობაც. შარშან ამ კომისიამ მრავალი დარღვევიდან საგანგებოდ დააფიქსირა მხოლოდ ერთი, როცა გადაწყვიტა ზაპოროჟიეს „მეტალურგისა" და რიგის „დაუგავის" თამაშის ხელახლა ჩატარება.

ცალკე განხილვის საგანია ჩვენი ფეხბურთის სამეურნეო საქმეები და თვითდაფინანსებაზე გადასვლა. აქ, უპირველეს ყოვლისა, თვით კლუბებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და საკუთრივ გამოძებნონ რეალური პერსპექტიული გზები.

შარშან გადაწყვეტილება მივიღეთ იმის თაობაზე, რომ ახლებურად ჩაგვეტარებინა მეორე ლიგის საკავშირო შეჯიბრება და ცალკე ზონებად გამოგვეყო ამ ლიგის უძლიერესი გუნდები, მაგრამ მაშინ ყველაფერი ზუსტად ვერ გავიანგარიშეთ, ამიტომაც დაგეგმილ სიახლეებს ცხოვრებაში ჯერჯერობით ვერ გავატარებთ.

გულშემატკივრები ხშირად გვეკითხებიან თუ როგორ გადაწყდება ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების უცხოეთის კლუბებში გადასვლის საკითხი. უცხოეთის კლუბები დიდ ინტერესს იჩენენ პროტასოვის, ზავაროვის, ბელანოვის, იაკოვენკოს და სხვათა მიმართ, მაგრამ ეს ფეხბურთელები უპირველესად ჩვენვე გვჭირდება და, გარდა ამისა, უცხოეთისა და ჩვენი კლუბების ხელმძღვანელთა ინტერესები მუდამ არ ემთხვევა ერთმანეთს. ჩვენი ფეხბურთის გალარიბება კარგს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ იმ მოთამაშეებს, რომლებმაც ე. წ. „კრიტიკულ" ასაკს მიაღწიეს და 30 წელს გადააცილეს, შეიძლება ნება დავრთოთ უცხოეთის კლუბებში ითამაშონ. ამის მაგალითია, ვთქვათ, სერგეი შავლო, რომელიც ავსტრიის პროფესიულ კლუბში გამოდიოდა.

საგანგებო ზომებს უნდა მივმართოთ ფეხბურთის იმ ფანატიკოს გულშემატკივართა მიმართ, რომლებმაც შარშან ყოვლად შეუწყნარებელი ხულიგნური საქციელით გამოიჩინეს თავი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სტადიონზე. ამასთან დაკავშირებით შევიმუშავეთ ხულიგნებთან ბრძოლის ერთობლივი პროგრამა, საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს, საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო სპორტსახკომის, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით. ყველამ უნდა იცოდეს, რომ გუნდების მხარდაჭერა და ნორმალური ქომაგობა მკვეთრად განირჩევა იმისგან, რასაც ეს „ფანატები" სჩადიან.

წლეულს ჩვენს ფეხბურთს 90 წელი უსრულდება. ეს ღირსშესანიშნავი თარიღია. ყველამ, ვისაც კი ფეხბურთთან გვაქვს საქმე, ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ სეზონის წარმატებით ჩატარებაში. ახალ სეზონში მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოგველის, წინაა ევროპის ჩემპიონატი, ოლიმპიური თამაშები, ევროპის საკლუბო ტურნირები, ჭაბუკთა დიდი შეჯიბრებები, საკავშირო ჩემპიონატი, სსრ კავშირის თასის გათამაშება და მრავალი სხვა. შემოდგომით დაიწყება მსოფლიოს 1990 წლის შესარჩევი მატჩები. ერთი სიტყვით, მეტად საინტერესო სეზონი მოგველის, მისი წარმატებისათვის არ უნდა დავიშუროთ ძალები ფეხბურთელებმაც, მწვრთნელებმაც, ხელმძღვანელებმაც და ფართო საფეხბურთო საზოგადოებრიობამაც.

## თბილისის დინამოელთა სავიზიტო ბარათი

**გუნდის უფროსი** — სპორტის დამსახურებული ოსტატი **ვლადიმერ გუცაევი**.

**მთავარი მწვრთნელი** — რსფსრ-სა და უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი **გერმან ზონინი**.

**მწვრთნელები** — სპორტის ოსტატი **შოთა ჰეიშვილი, ნოდარ აკობია**.

**მეკარეები: ო. გაბელია (1958 წელს დაბადებული), გ. მიქაძე (1965), გ. ჰანტურია (1964).**

**დაცვა — მ. არზიანი (1964), ნ. კალატოზიშვილი (1969), გ. კეტაშვილი (1965), გ. ფირცხალავა (1965), ზ. სვანაძე (1958), თ. სულაქველიძე (1956), ხ. თარბა (1968), ო. თეთრაძე (1969), ა. ცვეიბა (1966), კ. ცხადაძე (1968), ს. ჰედია (1965), გ. ჩხაიძე (1970).**

**ნახევარდაცვა — ჯ. გუბაზი (1968), ო. კორძაღიძე (1960), დ. პეტრიაშვილი (1969), ზ. რევიშვილი (1968), ბ. თედეევი (1969), გ. ტუებუჩავა (1963), კ. ხარჩილავა (1969).**

**თავდასხმა — გ. აჯოევი (1961), გ. გურული (1964), გ. ჯიშკარიანი (1967), მ. ჯიშკარიანი (1969), თ. ქეცბაია (1968), მ. მესხი (1961), მ. ფანცულაია (1968), რ. შენგელია (1957).**



## ჩემპიონატის დაწყების წინ

**3 მარტს დილომში, „დინამოს" საფეხბურთო საწვრთნელ ბაზაზე, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები შეხვდნენ დინამოელთა გუნდის მთავარ მწვრთნელს გერმან ზონინს და გუნდის სხვა ხელმძღვანელებს.**

გ. ზონინმა ილაპარაკა გუნდის წლევანდელი მზადების შესახებ, უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

მომავალი სეზონი ჩვენთვის ძნელი იქნება, — თქვა მან. — გუნდი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ეს კი, როგორც წესი, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. დინამოელ ფეხბურთელთა ფიზიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თამაშის შინაარსი, მისი ხარისხი კი — არა. გუნდში ყველაზე მტკივნეული ადგილია ნახევარდაცვა. ჩივაძის წასვლა გუნდიდან, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო სარგებლობის მოტანა, მარტო დაცვის ხაზს როდი დაეტყო. ძნელია ასე მოკლე ხანში მისი ტოლფასი შემცვლელი ცენტრალური მცველის მონახვა. წინა ცენტრალური მცველის როლი სულაქველიძეს მივანდეთ და სწორედ მისმა უკან გადაყვანამ, ხგრეთვე, ცვეიბას ამპლუას შეცვლამ შეასუსტა ნახევარდაცვის ხაზი. გარკვეულ იმედებს ვამყარებდით მიქაბერიძეზე, მაგრამ მისი თამაშის ხარისხმა და ტესტირებამ ცხადყო, რომ ეს ფეხბურთელი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ამიტომაც მიქაბერიძე გუნდიდან დავითხოვეთ.

მოსამზადებელ პერიოდში ამ რგოლში გამოვცადეთ ახვლედიანი, კიკლიაშვილი, ჯორბენაძე და ჩადუნელი, მაგრამ ისინი და ზოგიერთი სხვაც, თავიანთი კონდიციებით ჩამორჩებიან დინამოელთა დღევანდელ ძირითად შემადგენლობას. მინდა აღვნიშნო ჩვენი ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, ბავშვთა ფეხბურთში დაშვებული სერიოზული შეცდომები. წლევანდელ სეზონში მთელი სიმძიმე კვლავ ვეტერან ფეხბურთელებს დააწვება, კარგ ფორმაში არიან რამაზ შენგელია და თენგიზ სულაქველიძე. საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელობამ თ. სულაქველიძის თაობაზე გვთხოვეს, რომ იგი მოვამზადოთ წინა ცენტრალური მცველის ადგილზე სათამაშოდ. მინდა აღვნიშნო მოსკოვის „სპარტაკიდან" დაბრუნებული მ. მესხის გულმოდგინე მზადება ახალი სეზონისათვის. გუნდში ნაყოფიერად მუშაობს მწვრთნელი-მეცნიერი, კონსულტანტი ირაკლი გორგოშიძე, რომელსაც სპორტში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

„დინამოში" გადასაწყვეტი პრობლემები ჯერ კიდევ საკმარისადაა, მათი გადაჭრა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია თვით მოთამაშეებზე. რეალურად ვაფასებ რა გუნდის ახლანდელ მდგომარეობას, მიმაჩნია, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა მოვხვდეთ ქვეყნის რვა გუნდს შორის.

# იწყება ახალი საფეხბურთო სეზონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაისური ალეგს

**სახელობის „დინამოს“ სტადიონზე დაწყების წინ, დიდი ფეხბურთიდან და საბჭოთა კავშირის ნაკრების 1980 წლის საუკეთესო ფეხბურთოსტატს ალექსანდრე ჩივაძეს.**



სულ უფრო ძნელი ხდება, თანაც ჯანმრთელობაც ჯეროვნად არ გიწყობს ხელს, ასეთ ვითარებაში დიდ ფეხბურთთან გამომშვიდობება ვარჩიე. ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, დამეთანხმებით ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში.

**● ბოლო წლებში ბევრს საყვედურობენ ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელებს, რომ ისინი ღირსეულ ცვლას არ აწვდიან ოსტატთა გუნდებს. ნუთუ საქართველოში აღარ იზრდება ის ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა, რომ წარმატებით დაიკავოს ადგილი უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებში?**

— ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში თითებზე ჩამოსათვლელი სპორტსკოლები იყო, ღირსეული ცვლა კი ამ სკოლებიდან თითქმის ყოველწლიურად მოდიოდა. 35-ე სკოლა, „ნორჩი დინამოელი“, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა — ის სპორტსკოლებია, სადაც არაერთი ნიჭიერი მოთამაშე აღზრდილა. დღეს მოზარდთა საფეხბურთო სკოლების რაოდენობამ იმატა, ღირსეული შევსება კი ჯერჯერობით არ ჩანს. მწამს, რომ სულ მალე გამოჩნდებიან ნიჭიერი ფეხბურთელები. მთავარია, ბავშვებს ფანატიკურად უყვარდეთ ფეხბურთი, ყველაფერი გაიღონ მისთვის, სხვანაირად რაიმე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

**● ალბათ, ამ არასასურველმა გარემოებამაც დაასვა დაღი ბოლო წლებში თბილისის „დინამოს“, ხელი შეუწყო მის უფერულ თამაშს.**

— დღევანდელ თბილისის „დინამოში“ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, მჯერა, მალე ისინი ექსტრაკლასის მოთამაშეები დადგებიან. მთავარია, მოთმინების უნარი არ დავკარგოთ, წარმატება კი აუცილებლად მოვა. გავიხსენოთ 1964 წელი, როცა „დინამოში“ თანაბარი სიძლიერის ფეხბურთელები იყვნენ, გუნდმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ასევე იყო 1978 წლიდან მოყოლებული, მაშინაც გუნდში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი გამოჩნდა. დღევანდელ „დინამოში“ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, მათ თავის თავზე უნდა აიღონ მთელი პასუხისმგებლობა, კარგად უნდა შეიგნონ, თუ რას ნიშნავს თბილისის „დინამოს“ მაისური. დინამოელი ფეხბურთელი კარგი მოქალაქე და ყველასათვის სანიმუშო უნდა იყოს.

**● ბოლო დროს ხშირად იხსენებენ 1981 წლის საბჭოთა ნაკრებს. რა სხვაობაა 1981 წლისა და დღევანდელ ნაკრებს შორის?**

— 1981 წლის ნაკრებში თითქოს უფრო მეტი გამოჩენილი ოსტატი თამაშობდა. მათი უმრავლესობა პრინციპული, მტკიცე ხასიათისა და ნებისყოფის სპორტსმენი იყო, მათს აზრს ანგარიშს უწევდა ნაკრების ხელმძღვანელობა. ჩვენი ქვეყნის დღევანდელ პირველ გუნდს კი, ჩემი აზრით, სწორედ ეს მონაცემები აკლია, რაც მისი თამაშის ხარისხშიც აისახება.

**● მადლობა მინდა გითხრათ ინტერვიუსთვის და სიკეთე გისურვოთ ცხოვრებაში.**

— ჩემი მხრივ, გაზეთ „ლელოს“ საშუალებით მინდა მადლობა მოვახსენო ყველა გულშემატკივარს იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი ჩემი საფეხბურთო კარიერის მანძილზე.

**ზაზა კახაძე.**

## კეთილ გზას გისურვებთ

(დასასრული)

ლან და გამოწრთობილან სამამულო ფეხბურთის ბრწყინვალე ოსტატები, დღეს სერიოზული პრობლემების წინაშეა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მას უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე უხდებოდა ფიქრი.

მსგავსი რამ არ ყოფილა არასოდეს. თბილისის „დინამოს“ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სადარდებელი მხოლოდ ისა გვქონდა, თუ საქართველოს პირველი გუნდი საპრიზო ადგილების მიღმა დარჩებოდა, ახლა კი მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა. ცხადია, ვერც მწვრთნელთა სტაბილურ, კვალიფიციურ საქმიანობას დავიკვეხნით და ვერც მაღალი კლასის ოსტატობით მოვიწონებთ თავს. თაობათა ცვლის მძიმე პერიოდს ჩვენი გუნდი აშკარად მოუმზადებელი შეხვდა. ამ წარუმატებლობებს განსაკუთრებით მტკივნეულად განვიცდით ყველანი, ვისთვისაც კი ძვირფასია ქართული ფეხბურთის ავ-კარგი, მისი აწმყო და მომავალი.

მდგომარეობა რთულია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ქართული ფეხბურთის სახელოვან წარსულს, მდიდარ ტრადიციებს, ჩვენი ხალხის უანგარო სიყვარულს ფეხბურთისადმი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების შეუნელებელ ზრუნვას, ახალგაზრდა ტალანტების სიუხვეს და სხვა მრავალ ფაქტორს, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიზისს დავძლევთ და ჩვენი საუკეთესო გუნდიც კვლავ დაიბრუნებს ძველ დიდებას, მაგრამ საამისოდ საჭიროა საერთო ძალისხმევა, საფეხბურთო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა რგოლის მაქსიმალურად ენერგიული საქმიანობა, ახალი ტალანტების ძიება, ჭაბუკთა ფეხბურთის ახალ, თვისობრივად მაღალ საფეხურზე აყვანა.

ახლა, როგორც არასდროს, შეუსვენებლად უნდა ვეძიოთ ნიჭიერი ჭაბუკი ფეხბურთელები, გეგმაზომიერმა, გონივრულად ორგანიზებულმა სასელექციო მუშაობამ უნდა წარმოაჩინოს ის მდიდარი რეზერვები, რომლებიც ახალ საიმედო შევსებას მისცემს ჩვენს ფეხბურთს.

ამ დიდმნიშვნელოვან, საშვილიშვილო საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან გულშემატკივრებმაც. რა თქმა უნდა, გულშემატკივარი ეს ის ძალაა, რომელიც საზოგადოებრივ აზრსაც ქმნის და ფეხბურთელსაც შემწეობას უწევს უფრო მეტი მონდომებით, უფრო მობილიზებულად, უფრო მაღალ დონეზე გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი. ყოველ გუნდს მხარდაჭერა ესაჭიროება, ფეხბურთელმა უნდა სრულად იგრძნოს მაყურებლის ქომაგობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მის უკეთეს შედეგებს, თამაშის გაუმჯობესებას ემსახურება და თუ თითო-ოროლა „პესიმისტი“, ან არაკეთილმოსურნედ განწყობილი პიროვნება გადაჭარბებულად რეაგირებს ფეხბურთელის ყოველ შეცდომაზე, ესეც მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ საჭიროა უკეთ თამაში, საჭიროა მეტი მონდომება, მეტი მიზანსწრაფვა, მეტი შეუპოვრობა.

ერთი სიტყვით, ფეხბურთელი და გულშემატკივარი ერთი მთლიანი ორგანიზმია, მიზანიც მათ ერთი აქვთ: უფრო ამაღლდეს ქართული ფეხბურთის კლასი, უკეთესად ითამაშოს თბილისის „დინამომ“, მეტი წესრიგი იყოს ტრიბუნაზე. ამიტომაც ჩვენ ყველანი კეთილ გზას ვუსურვებთ თბილისის „დინამოს“ მომავალ რთულ, საინტერესო სეზონში.

# სტატისტიკა, სტატისტიკა...

ახალ საფეხბურთო სეზონთან დაკავშირებით ჩვენი მკითხველებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნებოდა გაეცნოს მნიშვნელოვან სტატისტიკურ ციფრებს, რომლებიც დაკავშირებულია თბილისის „დინამოს“ ისტორიასთან.

⊙ განვლილი 50 ჩემპიონატის მანძილზე „დინამომ“ ჩაატარა 1364 კალენდარული მატჩი: +606=388—370, ბურთების შეფარდება 2121—1608.

⊙ ჩატარებულ მატჩებში მონაწილეობა მიიღო 244 ფეხბურთელმა.

⊙ პირველი გოლი ნ. სომოვმა გაიტანა 1936 წელს კიევის „დინამოსთან“.

**მე-500 — ი. ვარდიმიადიმ 1950 წ. (დონეცკის „შახტიორთან“).**

**მე-1000 — მინსკელმა მ. რადუნსკიმ 1962 წელს (საკუთარ კარში).**

**მე-1500 — გ. გავაშელმა 1972 წ. (მინსკის „დინამოსთან“).**

**მე-2000 — რ. შენგელიამ 1984 წ. („ჟალგირისთან“).**

**აღსანიშნავია, რომ რ. შენგელია არის მე-1800 და მე-1900 გოლების ავტორიც.**

⊙ საკავშირო ჩემპიონატებში მხოლოდ სამმა დინამოელმა ფეხბურთელმა მოახერხა 100 და მეტი ბურთის გატანა:

**1. ა. ლოლობერიძე — 127**
**2. რ. შენგელია — 119**
**3. ბ. პაიჭაძე — 106.**

⊙ „დინამოს“ მაისურით სამასზე მეტი თამაში ჩაატარა ხუთმა ფეხბურთელმა:

**1. ა. ლოლობერიძე — 341**
**2. ა. ჩივაძე — 323**
**3. ვ. ბუცაევი — 303**
**4. რ. ძოძუაშვილი — 301**
**5. შ. იამანიძე — 300.**

⊙ ერთი სეზონის მანძილზე საუკეთესო შედეგები აქვთ:

**1. ა. ლოლობერიძეს — 25 (1950 წ.)**
**2. რ. შენგელიას — 23 (1981)**
**3. გ. გავაშელს — 22 (1968)**
**4. ზ. კალოევს — 20 (1960)**
**5. ი. დათუნაშვილს — 20 (1966).**

⊙ ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებმაც „დინამოს“ შემადგენლობაში ითამაშეს, არიან გ. სიჭინავა და ზ. რევიშვილი — 16-16 წ. ყველაზე ხანდაზმული გახლდათ ა. ლოლობერიძე — 39.

„დინამოს“ ფეხბურთელთაგან 11-მეტრიანი დარტყმები ყველაზე ხშირად და ზუსტად შეასრულეს:

**1. ა. ლოლობერიძემ 26 (35 დარტყმიდან)**
**2. მ. ბერძენიშვილმა 18 (21)**
**3. დ. ყიფიანმა 16 (20)**
**4. რ. ჩელებაძემ 14 (17)**
**5. ა. ჩივაძემ 13 (17).**

⊙ ლ. იაშინის კლუბში, სადაც მხოლოდ ის მეკარეები ირიცხებიან, ვისაც თამაშების უმეტესობა ბურთის გაუშვებლად აქვთ ჩატარებული, ორი დინამოელია:

**1. რ. ურუშაძე — 113 (274 ჩატარებული მატჩიდან)**
**2. ო. გაბელია — 88 (246).**

⊙ ჩემპიონატების ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელებია მ. მაჩაიძე და დ. ყიფიანი, ორივეს მოპოვებული აქვს ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი.

**პაატა ცაგარეიშვილი,**
**სტატისტიკოსი.**




**რაც** უნდა იყოს და სადაც უნდა იყოს, ფეხბურთის გულშემატკივარი საკავშირო ჩემპიონატის პირველ მატჩზე რწმენითა და იმედით მიდის. ამ რწმენასა და იმედზეა მორის ფოცხიშვილის ის ლექსი, რომლითაც 51-ე საფეხბურთო მარათონის პირველი მატჩისადმი მიძღვნილი პროგრამა იხსნება. ზამთარში ფეხბურთს დანატრებული ათასობით გულშემატკივარი, ალბათ, ინტერესით გაეცნობა ამ პროგრამას და, ვფიქრობთ, კმაყოფილიც დარჩება. სეზონის პირველი საფეხბურთო გზამკვლევი საკმაოდ პრაქტიკულიც გახლავთ და სახალისოც, ისეთი, როგორიც სეზონის გახსნას შეეფერება. ტრადიციული ინფორმაციული მასალების „კრებულს“ — მილოცვას, მეტოქეთა წარდგენას, უმაღლესი და პირველი ლიგების ჩემპიონატების კალენდრებს, 50-ე ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს, „დინამოს“ სტადიონის სქემას, ჩემპიონატის დებულებას — ახალისებს მორის ფოცხიშვილის ლექსები, ქართლოს კასრაძის „ფიგაროს კავატინა „დინამოს“, ქალთა ფეხბურთისადმი მიძღვნილი სარვამარტო მასალები და ა. შ. პროგრამა გემოვნებით არის გაფორმებული და უხვად ილუსტრირებული, გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია მ. ბერძენიშვილის ნახატი „მესხის ფინტი“.

პროგრამა დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში. იგი შეადგინა ჟურნალისტმა ოლეგ გველესიანმა.

# ...ის საკლუბო ტურნირები

მეტოქის მინდორზე მინიმალური ანგარიშით დამარცხება საპასუხო მატჩისთვის მინსკის „დინამოს“ გარკვეულ პერსპექტივებს უქმნის. იმედია, მინსკელები საკუთარ მინდორზე გაცილებით უკეთ, უფრო აქტიურად ითამაშებენ ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად. მაგრამ კვლავ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ფეხბურთელები ერთობ დაურიდებლად, უყურადღებოდ და უხეშად თამაშობენ, რის გამოც სისტემატურად ღებულობენ გაფრთხილებას. კერძოდ ამ მატჩში ყვითელი ბარათი დაიმსახურა შალიმომ, შემდეგ, 82-ე წუთზე, მსაჯმა მას ხელმეორედ აჩვენა ყვითელი ბარათი და დაატოვებინა მინდორი მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ მინსკის „დინამოს“ საერთაშორისო შეხვედრათა პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევა არ არის. ამავე მატჩში გააფრთხილეს საცუნკევიჩი და ღერკაჩი, შარშან კი ამგვარი გაფრთხილებები დაიმსახურეს გ. კონდრატიევმა, ს. შიროკიმ, ს. გოცმანოვმა, ა. ზიგმანტოვიჩმა და ს. ოლეინიკოვმა. გაზეთი „იზვესტია“ იტყობინება, რომ ბელგიაში გამგზავრების წინ დინამოელებს ესაუბრა უეფა-ს ვიცე-პრეზიდენტი ნ. რიაშენცევი და საგანგებოდ სთხოვა ფეხბურთელებს დაეცვათ დისციპლინა. ამ საუბრის შედეგი კი ისაა, რომ ორი მინსკელი ფეხბურთელი გააფრთხილეს და ერთი — მინდვრიდან გააძევეს. შესაძლოა უეფა-მ ამ საკითხზე საგანგებო ზომებს მიმართოს და დიდი თანხითაც დააჯარიმოს ეს კლუბი.

საერთაშორისო საფეხბურთო წრეების დიდ ინტერესს იწვევდა ჩემპიონთა თასის მატჩი მიუნხენში ადგილობრივ „ბაიერნსა“ და მადრიდის „რეალს“ შორის. 70 ათასი მაყურებელი უკიდურესად დაძაბული ბრძოლის მოწმე იყო, თამაში მასპინძლებმა მოიგეს, მაგრამ ანგარიში 3:2 გარკვეულ იმედს უტოვებს ესპანელ ფეხბურთელებს.

იტალიის „ატალანტამ“, რომელიც თავისი ქვეყნის ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდის, თასების მფლობელთა თასზე საკუთარ მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა ძლიერი მეტოქე — პორტუგალიის „პორტინგი“.

გთავაზობთ საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალურ შეხვედრათა პირველი ტურის შედეგებს.

**ჩემპიონთა თასი**

„ბორდო“ (საფრანგეთი) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 1:1.
„სტიაუა“ (რუმინეთი) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) 2:0
„ბაიერნი“ (გფრ) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) 3:2
„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 2:0

**თასების თასი**

„მეხელენი“ (ბელგია) — „დინამო“ (მინსკი, სსრ კავშირი) 1:0
„ატალანტა“ (იტალია) — „სპორტინგი“ (პორტუგალია) 2:0
„როვანიემი“ (ფინეთი) — „მარსელი“ (საფრანგეთი) 0:1
შვეიცარიის „იანგ ბოიზი“ და ჰოლანდიის „აიაქსი“ ერთმანეთს შეხვდებიან 9 მარტს.

**უეფა-ს თასი**

„ესპანიოლი“ (ესპანეთი) — „ვიტკოვიცე“ (ჩეხოსლოვაკია) 2:0
„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „ბრიუგე“ (ბელგია) 2:2
„ბაიერი“ (გფრ) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 0:0
„ვერონა“ (იტალია) — „ვერდერი“ (გფრ) 0:1

სამივე ტურნირის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება 16 მარტს.

I ლიგის წყალბურთელთა საკავშირო პირველობა

# პირწმინდად წაგებული მატჩის შემდეგ...

**კიშინიოვის** უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის წყალბურთელთა გუნდი I ლიგაში საშუალო სიძლიერის ან ოდნავ უკეთეს გუნდად ითვლება. ამიტომ მასთან შეხვედრაში, თუ მასპინძლის როლში გამოდიხარ, გამარჯვებაზე უნდა იფიქრო. მით უფრო არ უნდა გააწბილო გულშემატკივრები, თუ საბოლოოდ თავადაც საშუალო გუნდებს შორის დამკვიდრებას ისახავ მიზნად. თბილისის ასკ-ის წყალბურთელების მიზანიც სწორედ ეს იყო. უფრო სწორედ, სეზონის დასაწყისში ჩვენს გუნდს ასეთი გეგმა ჰქონდა. ახლა კი...

როგორც გახსოვთ, თბილისელებმა I ტური მეტად უფერულად დაიწყეს და აქტივში ათი შესაძლებლიდან ერთადერთი ქულა ჩაიწერეს. ამის მერე მთელი იმედები მეორე, თბილისის ტურზე, გადმოვიდა, მაგრამ... ვერც ვაკის აუზში გამართულ პირველ შეხვედრაში ვერაფერს გავხდით კიშინიოველებთან. მასპინძლებმა პირწმინდად წააგეს მატჩი — 8:15. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ მოლდაველთის წყალბურთელებს გაცილებით დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება, მაგრამ რაკი საქმე გამარჯვებამდე ისედაც იოლად მიჰყავდათ, მეტი მონდომება აღარ გამოუჩენიათ.

ასეთი უფერული თამაშის მერე, მოსკოვის „ტორპედოსთან" შეხვედრაში, ჩვენი გუნდისგან ბევრს აღარაფერს ველოდით, მით უმეტეს, რომ ტორპედოელები ერთ-ერთ საუკეთესო წყალბურთელებად ითვლებიან და შარშან უმაღლეს ლიგაშიც ასპარეზობდნენ.

საბედნიეროდ, ვარაუდი არ გამართლდა. თბილისელმა არმიელებმა, რომლებიც ახლა მიონის სახელითაც გამოდიან, მოსკოველებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს.

სარბიელზე თანაბარი ბრძოლა იყო გაჩაღებული და შეხვედრაც ფრედ დამთავრდა 7:7 (4:3, 0:1, 1:1, 2:2).

მასპინძლებმა განსაკუთრებით კარგად ითამაშეს მესამე პერიოდში, რომელიც მართალია ფრედ დამთავრდა, მაგრამ სტუმრებს ამ დროს ოთხჯერ ეგრეთწოდებული ზედმეტი მოთამაშე ჰყავდათ, მაგრამ თბილისელებმა ტორპედოელებს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების საშუალება არც ერთხელ არ მისცეს.

ტურის მესამე, ბოლო დღეს თბილისელები ვოლგოგრადის „სპარტაკს" შეხვდნენ და მეტად დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს 7:6 (2:1, 0:1, 1:1, 4:3).

თბილისელებმა ამ ტურის მატჩები ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: ღვალაძე, კოღუაშვილი, ხრომოჩკინი, გრანკინი, ფანჩულიძე, დემეტრაშვილი, ქათამაშვილი, კელაურიძე, ყუფარაძე, ცოტაძე, წულაძე, ბობროვა.

ამრიგად, მათ მეორე ტურში გამართული სამი შეხვედრიდან თითო შეხვედრა წააგეს, მოიგეს და ფრედ დაამთავრეს.

საუკეთესოდ იასპარეზა მოსკოვის „ტორპედომ", რომელმაც 5 ქულა აიღო. ყველაზე ცუდი მაჩვენებლები კი ვოლგოგრადის „სპარტაკსა" და ჟდანოვის „აზოვს" ჰქონდათ — 2-2 ქულა.

თბილისში მოასპარეზე გუნდებს, ორი ტურის ჯამში, ასეთი შედეგები აქვთ: „ტორპედო" — 15 ქულა, სკ (დუშანბე) — 10, „სპარტაკი", უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის გუნდი (კიშინიოვი) — 9-9, ასკ-„მიონი" (თბილისი), „აზოვი", — 4-4.

სამწუხაროდ, მეორე ჯგუფში მოასპარეზე ექვსი გუნდის მაჩვენებლები არ გვაქვს და ამიტომ მთლიანი სატურნირო ცხრილის შემოთავაზება არ შეგვიძლია, მაგრამ, იქ როგორც არ უნდა დამთავრებულიყო შეხვედრები, თბილისელები, „აზოვის" წყალბურთელებთან ერთად, ბოლო ადგილებს ინაწილებენ და ლიგის დატოვების უპირველესი კანდიდატები არიან.

მართალია, თბილისელებმა კიშინიოველებთან იმ პირწმინდად წაგებული მატჩის შემდეგ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფონი გაიუმჯობესეს, მაგრამ საბოლოოდ ექვსი შესაძლებლიდან სამად-სამი ქულა აიღეს, რაც მასპინძელი გუნდისთვის მეტად უფერული მაჩვენებელია. თბილისელებს, სულ ცოტა, ოთხი ქულა მაინც უნდა მოეპოვებინათ.

ასკ, როგორც ვთქვით, ახლა „მიონის" სახელითაც გამოდის. იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი რესპუბლიკის № 3 უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ბაზაზეა ჩამოყალიბებული. ამრიგად, ჩვენს გუნდს ახლა სამი პატრონი ჰყავს.

გახსოვთ ის ანდაზა, ორი ძიძის ხელში ბავშვს რა დაემართა? იმ ანდაზის მიხედვით ჩვენს გუნდს უარესად აქვს საქმე, რადგან მას სამი „ძიძა" ჰყავს. მაგრამ, იმედია, ჩვენი გუნდის „ძიძები" ერთმანეთის შემყურენი არ გახდებიან და სამივენი ერთნაირი მონდომებით, ერთად უპატრონებენ.

თბილისელებს მდგომარეობის გამოსწორების საშუალება კიდევ აქვთ, მით უმეტეს, რომ ჯერ პირველი წრეც არ დამთავრებულა და პოტენციურად არც მეტოქეები ჩანან ისეთი ძლიერები, რომ ჩვენმა წყალბურთელებმა მათი დამარცხება ვერ შეძლონ.

**ავთანდილ ჭყვიშელი.**



# იწყება მეორე გათამაშება

**ჩანაფიქრით,** მძლეოსნობაში „საქართველოს ტელევიზიის პრიზის" გათამაშება უნდა ყოფილიყო დიდი, მნიშვნელოვანი შეჯიბრება, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ სახეობის პოპულარობას, პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევას. განზრახვა, როგორც ხედავთ, კეთილშობილურია, მაგრამ მან, ვერ პოვა ისეთი ხორცშესხმა, როგორსაც მოელოდნენ. ამის ძირითად მიზეზად მიგვაჩნია ცალკეული გუნდების ხელმძღვანელების, სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის სპორტკომიტეტების ზერელე დამოკიდებულება ახალი ღონისძიების მიმართ, რამაც ჩანაფიქრი ნაწილობრივ დევალვაციამდე მიიყვანა. თბილისის „დინამოს" სტადიონზე შეკრებილნი იოლად შეამჩნევდნენ, რა მოუმზადებელი სპორტსმენები გამოჰყავდათ სტარტზე.



რასაკვირველია, ამ ხარვეზების გამო ღონისძიებაზე უარის თქმა არ არის გამართლებული, უბრალოდ, ხარვეზების აღმოფხვრაა საჭირო. „ტელევიზიის პრიზის" რიგით მეორე გათამაშება 7 მარტს იწყება თბილისის დინამოელებისა და ვილნიუსის „ჟალგირისის" საფეხბურთო მატჩის დროს „დინამოს" სტადიონზე. ახლა უფრო მკაცრი კონტროლი დაწესდება შეჯიბრების მონაწილე გუნდების მზადყოფნაზე და უფრო მეტად მოსთხოვენ პასუხს მათს ხელმძღვანელებს, შარშან შეძენილი გამოცდილებაც ხომ რაღაცას ნიშნავს.

შეჯიბრების პროგრამა ასეთია: მონაწილეები — როგორც გოგონები, ისე ჭაბუკები — იასპარეზებენ 100, 400 და 800 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში და ბირთვის კვრაში. ჩატარდება ორი ამანათრბენი 10X50 მ. როგორც შარშან, ახლაც მომდევნო ეტაპზე ბრძოლას განაგრძობს ოთხი საუკეთესო გუნდი (რვიდან).

7 მარტს თბილისის „დინამოს" სტადიონზე იასპარეზებენ: თბილისის გლდანის, ქუთაისის საქარხნო, ასპინძის, გურჯაანის, კასპის, თიანეთისა და სოხუმის რაიონები, აგრეთვე ჭიათურის გუნდი. მომდევნო შეჯიბრებისათვის, რომელიც 11 მარტს თბილისის „დინამოსა" და მათი მინსკელი თანაკლუბელების მატჩის დროს გაიმართება, სარბიელზე გამოვლენ ტყვარჩელის, ახალქალაქის, მაიაკოვსკის, ყვარლის, თბილისის საქარხნო და კალინინის რაიონების, აგრეთვე წყალტუბოსა და თელავის კოლექტივები. გუნდები დაკომპლექტდება 1972-1975 წელს დაბადებული მოსწავლეებით.

# თეთრები იწყებენ და... იგებენ

**ჭადრაკო** ტურნირების ახალი რეგლამენტით პირველ ორმოც სვლაზე თითოეულ მონაწილეს ორი საათი ეძლევა მოსაფიქრებლად, შემდეგ — კიდევ თითო საათი მომდევნო ოც სვლაზე, პარტიის გადადებამდე. ამიტომაც ასეთ შემთხვევებში გადადებული პარტიების რიცხვი არც ისე დიდია ხოლმე. ასე მოხდა საქართველოს 44-ე ჩემპიონატის I ტურშიც — მხოლოდ სამი პარტია გადაიდო.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ოსტატების ქეთევან კახიანისა და ციცინო კახაბრიშვილის შეხვედრა.

გამოცდილ კახაბრიშვილს რესპუბლიკის ბევრ ჩემპიონატში აქვს მიღებული მონაწილეობა. ჭადრაკის გულშემატკივრებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ იგი ყველაზე მეტჯერ, 5-ჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი. არ შემცდარან ჭადრაკის გულშემატკივრები, რომლებიც მათ ორთაბრძოლას I ტურის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო შეხვედრად მიიჩნევდნენ.

მეტოქეებმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს. თეთრებმა მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღეს, მაგრამ გამოცდილმა ოსტატმა მაინც შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, მან თანდათანობით გამოასწორა მდგომარეობა, თუმცა თეთრების მტკიცე პოზიციის გარღვევა შეუძლებელი აღმოჩნდა და სვლების გამეორებით მეტოქენი დაზავდნენ.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ტერელაძე-ხუციშვილი — 1:0, ხურციძე-გელავა — 1:0, მესხი-ნიკოლაძე — 0.5:0,5, ნ. მელაშვილი-თვაური — 0,5:0,5, ხუგაშვილი-ხარლამიდი — 0,5:0,5. გადაიდო ქასოშვილ-სადუნიშვილის, ჩაიკოვსკაია-კემულარიასა და ფახიროვა-ქ. მელაშვილის პარტიები.

II ტურში 6 (!) ყაიმი აღინიშნა, რაც ქალთა შეჯიბრებებში იშვიათი შემთხვევაა, ვინაიდან ქალები თითოეულ პარტიაში „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე" იბრძვიან ხოლმე.

ნიკოლაძე-ტერელაძის პარტიაში გათამაშდა სიცილიური დაცვა. ნიკოლაძემ მიტელშპილში პაიკი შეწირა მეტოქეს და ინიციატივას დაეუფლა. შემდეგ კი ფიგურები გაიცვალა და თეთრებმა რამდენიმე პაიკი მოიგეს. მაგრამ ტერელაძე ლაზიერით და მხედრით შეიჭრა მეტოქის მეფის განლაგებაში და მუდმივი ქიშის გამო მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გთავაზობთ სხვა შეხვედრების ტექნიკურ შედეგებს: სადუნიშვილი-ფახიროვა — 0:1, თვაური-ქასოშვილი — 0:1, კახაბრიშვილი-ჩაიკოვსკაია — 0.5:0,5, ხარლამიდი-კემულარია — 0,5:0,5, ხუციშვილი-ხურციძე — 0,5:0,5, გელავა-კახიანი — 0.5:0,5, ქ. მელაშვილი — მესხი — 0,5:0,5.

გადატანილია ხუგაშვილ-ნ. მელაშვილის პარტია.

მოულოდნელობით აღსავსე აღმოჩნდა III ტურის შედეგები. ამ ტურში შავებს მართლაც „შავი დღე" დაადგათ. 9 პარტიიდან 6(!) პარტიის ბედი თეთრი ფიგურებით მოთამაშეთა სასარგებლოდ გადაწყდა (ორი პარტია ყაიმით დამთავრდა, ერთი კი გადაიდო).

საინტერესო იყო ქასოშვილ-ხუგაშვილის პარტია. თეთრებმა მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღეს, მაგრამ ხუგაშვილმა შეძლო ჯერ პოზიციის გათანაბრება, შემდეგ კი დაეუფლა ინიციატივას. თუმცა ცაიტნოტში ხუგაშვილმა შეცდომა დაუშვა, ხარისხი დაკარგა და დანებდა მეტოქეს.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ნ. მელაშვილი-ხარლამიდი — 1:0, მესხი-სადუნიშვილი — 1:0, ტერელაძე-ქ. მელაშვილი — 1:0, ხურციძე-ნიკოლაძე — 1:0, კახიანი-ხუციშვილი — 1:0, ფახიროვა-თვაური — 0,5:0,5, ჩაიკოვსკაია-გელავა — 0,5:0,5. გადაიდო კემულარია-კახაბრიშვილის პარტია.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: სოფიკო ტერელაძე (სამტრედია), ნინო ხურციძე (თბილისი) — 2,5-2,5, ციალა ქასოშვილი (გორი) — 2 (1), თამილა მესხი (ქუთაისი), ქეთევან კახიანი (გარდაბანი) — 2-2, ნინო მელაშვილი (თბილისი), ეკატერინე ფახიროვა (ქუთაისი) — 1,5-1,5 (1-1).

**ვასილ ვაშაკიძე**

## ცელესაიპა-მკითხველი

**ათენი.** კიევის „დინამოს" კალათბურთელ ქალთა კოლექტივმა დაამარცხა მილანის „დებორი" 100:83 (48:41) და ლილიან რონკეტის თასი მოიპოვა.

**მოსკოვი.** აქ დაიწყო 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საკავშირო ტურნირი ძიუდოში, რომელშიც 44 ქალაქის წარმომადგენლები გამოდიან. მძიმე წონაში (72 კგ-ზე ზევით) გამარჯვება მოიპოვა 18 წლის მინსკელმა ვერონიკა კოზლოვსკაიამ, ქვემძიმეში (72 კგ) კი კაუნასელმა ლოლიტა შილეიკენემ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორივე გამარჯვებული სპორტის ოსტატობის კანდიდატია.

**ტალინი.** ესტონეთის დედაქალაქში დაიწყო ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირი — „მეგობრობის თასი" 52 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი კემეროველმა ალექსი კოლოკოლცევმა დაიკავა — 245 კგ (ორჭიდში). 56 კგ წონის ათლეტებში კი უძლიერესი იყო კიეველი ვიქტორ ბილიაკი—260 კგ.

## „გეტებორგი" რუსთავში

**გუშინ** რუსთავში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „მეტალურგმა" მიიღო ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი შვეციის „გეტებორგი".

თამაში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0.

## დუბლიორთა მატჩი

უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული შეხვედრა თბილისის „დინამოსა" და ვილნიუსის „ჟალგირისს" შორის დღეს შედგება „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. დასაწყისი 15 საათზე.

## საფრანგეთი — ღირსეული კანდიდატი

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საფრანგეთში. იგი მიიღო ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჟაკ შირაკმა, მათ შორის გაიმართა საქმიანი საუბარი მსოფლიოს 1998 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის თაობაზე. ჟ. აველანჟმა მაღალი შეფასება მისცა საფრანგეთის კანდიდატურას მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორობაზე. ჟაკ შირაკმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომ მის ქვეყანას განზრახული აქვს უმასპინძლოს მსოფლიო ჩემპიონატს.

ჟ. აველანჟმა ხაზი გაუსვა საფრანგეთის სერიოზულ არგუმენტებს ჩემპიონატის მოწყობაზე, არსებითად სწორედ ეს ქვეყანა იყო მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების ჩატარების ინიციატორი, ხოლო ბოლო ამგვარი ჩემპიონატი აქ 1938 წელს ჩატარდა.

ამ საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა.

### „სპორტპროგნოზი", მეთერთმეტე ტირაჟის პროგრამა (12-14 მარტი)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (კიევი) | 12.III | 20 | 60 | 20 |
| 2. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) | 12.III | 50 | 30 | 20 |
| 3. „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ქაირათი" (ალმა-ათა) | 12.III | 70 | 20 | 10 |
| 4. „არარატი" (ერევანი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 12.III | 40 | 20 | 40 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 5. „სპარტაკი" (მოსკოვი) — ასკ (ლენინგრადი) | 12.III | 70 | 10 | 20 |
| 6. „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — „დინამო" (მოსკოვი) | 12.III | 10 | 30 | 60 |
| 7. „ავტომობილისტი" (სვერდლოვსკი) — „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) | 12.III | 20 | 30 | 50 |
| 8. „დინამო" (რიგა) — „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) | 12.III | 60 | 20 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 9. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) I ტაიმი | 13.III | 40 | 50 | 10 |
| 10. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) II ტაიმი | 13.III | 50 | 30 | 20 |
| 11. „ნეფთჩი" (ბაქო) — „ზენიტი" (ლენინგრადი) | 13.III | 50 | 30 | 20 |
| 12. „დინამო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 14.III | 70 | 20 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (გადასასვლელი ტურნირი)** | | | | |
| 13. „ტორპედო" (გორკი) — „დინამო" (მინსკი) | 14.III | 80 | 10 | 10 |

შენიშვნა: მოსკოვის „სპარტაკისა" და „ტორპედოს" შეხვედრაში ყოველ ტაიმს ცალ-ცალკე უნდა გაუკეთდეს პროგნოზირება.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ბოშარაულის ქ. 29. უე 10676